საქართველოს მთავრობის

დადგენილება №208

2022 წლის 19 აპრილი

ქ. თბილისი

„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის №112 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (№1445-VIII მს-Xმპ, 17.03.2022) მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის №112 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 09/03/2018; 010240030.10.003.020427) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-6 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-9 მუხლის:

ა) მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ქართული პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრების მხარდამჭერი წინადადებების შემუშავებაში მონაწილეობა. კომპეტენციის ფარგლებში, ეროვნული და საერთაშორისო ღონისძიებების (სემინარები, კონფერენციები, მინისტერიალები და სხვა) დაგეგმვა, განხორციელება ან/და კოორდინაცია“;

ბ) მე-15 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის პირველი მაისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**